პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ხუთშაბათი, 16 აპრილი 1925 წ. | წლიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ. თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 83 (781) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## განცხადება.

ხუთშაბათს 16 აპრილს საღამოს 6 საათზე.

მეორე დივიზიის პოლიტ-განყოფილების ბინაზე შესდგება პირველ დივიზიის თფილისის გარნიზონში მდგომ ნაწილების

### მეთაურთა და კოლიტ შემადგენლობის თათბირი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამხედრო დისციპლინა დივიზიის ნაწილებში.

მომხსენებელი ა. კვირიკაძე.

ნაწილების მეთაურთა, სამხკომთა, შტაბის უფროსთა, ათასეულების, ასეულების უფროსთა და პოლიტხელთა დასწრება სავალდებულოა.

1 ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილების უფროსი ა. კვირიკაძე.

## კიდევ ტერსისტემის შესახებ.

იზრდება ჩვენი მეურნეობა, მტკიცედ მიიწევს წინ საბჭოთა კავშირი. მაგრამ ამ წინმსვლელობასთან ერთად იზრდება გარეშე საფრთხეც. ერთის მხრივ იმპერიალიზმი იძულებულია გვიცნას, მეორეს მხრივ ჩვენი გაძლიერება მოსვენებას არ აძლევს მას.

ამასთან ერთად მწვავდება ბრძოლა თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ყოველივე ეს იწვევს შეიარაღებების არა ჩვეულებრივ ზრდას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბურჟუაზია გამალებით ემზადება მომავალი სისხლის ღვრისათვის. მისი პირველი თავდასხმა ცხადია მიმართული იქნება მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამიტომაც ჩვენი წითელი არმია მზად უნდა იყოს ყოველგვარ ხიფათისათვის. სამხედრო თავდაცვის საქმეს უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

საჭიროა ამ საქმის მოგვარება ისე, რომ ერთის მხრივ მტერს ყოველთვის ღირსეული პასუხი გავსცეთ და ამავე დროს შრომას არ მოვწყვიტოთ მშრომელთა დიდი რაოდენობა. ამ საკითხის საუკეთესო გადაჭრას წარმოადგენს ტერსისტემა. ამხ. ფრუნზეს განცხადებით წითელი არმიის ნახევარს უკვე ტერიტორიალური ნაწილები შეადგენენ.

ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ჩვენ პირველად ვიწყებთ ტერიტორიალურ-მილიციონურ სისტემაზე წითელი ჯარის მოწყობას, და ეს საქმე ჩვენ რაც შეიძლება მეტი წარმატებით უნდა ჩავატაროთ. საამისო პირობებიც გვაქვს. სავსებით გამოყენებულ უნდა იქმნას რუსეთის ტერნაწილების გამოცდილებანი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტერსისტემა ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ეროვნული საკითხის სწორი გადაჭრის საქმეში. ის აგრეთვე საუკეთესო ფორმაა ქალაქის და სოფლის კავშირისა.

საერთო კულტურის და განათლების ზრდის საქმეშიც ტერსისტემა ითამაშებს უდიდეს როლს. ამიტომაც თითეული ღონისძიება, თითეული ნაბიჯი ტერსისტემის გასატარებლად მიმართული უნდა იქმნას შესრულებული დაუყონებლივ და სისწორით.

წელს პირველად მოგვიხდება ტერშეკრებების მოწყობა.

ტერნაწილების მუდმივ კადრმა თავიდანვე უნდა ემზადოს ამ შეკრებისათვის და ტერნაწილებში ტერ. არმიელთა მოსვლის დროს ყველაფერი მზად უნდა იყოს. ცხადია პირველ ჯერ ადგილი ექნება შეცდომებს. მაგრამ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება ნაკლები შეცდომები ჩავიდინოთ და რუსული ტერნაწილების მაგალითი სავსებით გამოვიყენოთ.

ტერსისტემის წარმატებით გატარება კი ნიშნავს საბჭოთა კავშირის სამხედრო თავდაცვის გაძლიერებას და მასთან მისი ეკონომიურ ზრდასაც.

# ახალი რადიო ამბები

## თათბირებს არ აქვს საზღვარი, მაგრამ კაბინეტი მაინც არ მოსჩანს.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა საჩქაროდ ითათბიროს შექმნილი მდგომარეობის გარშემო.

## საფრანგეთის სოციალისტები არ მიიღებენ მონაწილეობას მთავრობაში.

საფრანგეთის გაერთიანებულ სოციალისტების პარტიის ნაციონალურმა საბჭომ ერთხმად დაადგინა უარყონ ბრიანის წინადადება და არ მიიღონ მონაწილეობა მთავრობაში.

## ბრიანმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე.

## საფრანგეთის კაბინეტის შედგენა მიენდო პენლევეს.

ბრიანმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე. ეს გამოიწვია სოციალისტების უარმა მთავრობაში მონაწილეობაზე.

ამის შემდეგ დუმერგმა წინადადება მისცა პენლევეს შეადგინოს კაბინეტი.

პენლევეს ჯერ არ გამოუთქვამს თავისი აზრი, რადგანაც წინასწარ უნდა ითათბიროს თანამოაზრეებთან.

## სავაჭრო შეღავათები გლეხობას.

საშინაო ვაჭრობის კომისარიატმა აუცილებლად სცნო შეუმსუბუქოს გლეხებს სასოფლო—სამეურნეო პროდუქტებით და შინაურ ნაწარმოებით ვაჭრობის პირობები რკინის გზის სადგურებსა და ნავთსადგურებზე.

გლეხები დაუბრკოლებლივ უნდა იქნან დაშვებული აღნიშნულ ადგილებზე, სადაც მათ უნდა დაეთმოს სპეციალური ადგილი სავაჭროდ.

ყურადღება უნდა მიექცეს რათა გლეხებს არ გამოართვან რაიმე გადასახადი სადგურებზე ვაჭრობისათვის.

## ვანდერველდე--ბელგიის პრემიერი.

ბელგიის მეფემ ალბერტმა წინადადება მისცა ბელგიის სოციალისტ ვანდერველდეს შეადგინოს ახალი კაბინეტი.

## მაკდონალდის პარტია მარჯვნით მიდის.

ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია თანდათან იხრება მარჯვნით. ეს დაამტკიცა კონფერენციამ გლოსტერში, რომელიც კონსერვატიზმის ბუდეს წარმოადგენს და სადაც სტუმარ მოყვარეობით იქნა მიღებული დამოუკ. მუშათა პარტია.

კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც ულოცავს ყოფილ მუშათა მთავრობას მიღწევებს.

## შვედელ ამხანაგების წერილი ლენინგრადის მუშებისადმი.

ლენინგრადის მუშათა სა-ოლქო კავშირმა მიიღო ლენინგრადში ნამყოფ შვედელ პროფკავშირთა დელეგაციისაგან წერილი რომელშიაც ნათქვამია:

„რუსეთის მუშათა კლასმა თავისი რევოლიუციით ნიადაგი შეუქმნა მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებას; მისმა ენერგიამ და მონაპოვარმა ბრძოლის საქმეში დაგვარწმუნა ჩვენ, რომ რუსეთის პროლეტარიატი მიაღწევს თავის მიზნებს, რაიც ჩვენს დიდ სურვილს წარმოადგენს. მადლობას უძღვნით საბჭოთა კავშირის მუშათა ორგანიზაციებს ჩვენი ამხანაგური მიღებისათვის. ჩვენ აღვუთქვამთ ლენინგრადის მუშებს შევასრულოთ ყველაფერი, რათა გავავრცელოთ სწორი ცნობები საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ და გავაადვილოთ ორივე ქვეყნის მუშათა კლასის გაერთიანება.

## საბჭოთა კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელთა გამარჯვების უტყუარი იმედია.

რაც დღე მიდის მით უფრო და უფრო იზრდება კაპიტალისტურ ქვეყნების მუშების სიმპატია და თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისადმი. წინად როდესაც მუშურ-გლეხური რესპუბლიკა გარსშემორტყმული იყო იმპერიალისტური ჯარების რკინისრკალით, შიგნით თეთრგვარდიელთა ურდოები ანადგურებდნენ ყველაფერს, სადაც კი გაივლიდნენ, დასავლეთის პროლეტარიატი ეჭვის თვალით შეყურებდა მშრომელთა ხალხის გამარჯვების საქმეს. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მისი თანაგრძნობა მაინც თავგანწირულად მებრძოლ რუსეთის პროლეტარიატის მხარეზე იყო და შეძლებისდაგვარად კიდეც ეხმარებოდა მას. და აი მუშურ-გლეხურ ხელისუფლება გამოდის გამარჯვებული უთანასწორო ბრძოლიდან შინაურ და მსოფლიო ბურჟუაზიასთან.

დამარცხდა კონტრრევოლიუცია. გაირღვა იმპერიალისტური ბლოკადის რკალიც. საბჭოთა ქვეყანა არა ნაკლები აღფრთოვანებით და ენერგიით იწყებს მუშაობას შრომის ფრონტზე, რათა აღადგინოს იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებისაგან განადგურებული და აწიოკებული მეურნეობა.

ამ დროს ბურჟუაზია და სოციალ-გამყიდველები ჩასჩიჩინებენ დასავლეთის მუშებს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ქვეყნების მშრომლები ვერ გაუმკლავდებიან დანგრეულ მეურნეობას, ვერ აღადგენენ მას და დამარცხდებიან. მაგრამ აქაც სასტიკად მარცხდება ჩვენი მტრების იმედი. დღითი დღე წლიდან წელზე საბჭოთა კავშირი მტკიცედ მიიწევს წინ აღორძინების და აღდგენის გზაზე სოციალიზმისაკენ.

მას ვერ შეუშალეს ხელი იმპერიალისტების ვერც სამხედრო და ვერც ეკონ. ბლოკადებმა. პირიქით თვით კაპიტალისტური სახელმწიფოები იძულებული გახდნენ ეცნათ საბჭოთა ხელისუფლება.

და აი ის მუშები, რომლებიც ეჭვის თვალით შეყურებდენ საბჭოთა მუშების და გლეხების გამარჯვების საქმეს, დღეს თვით ხედავენ თავის ეჭვის უსაფუძვლობას, ისინი ხედავენ როგორ იზრდება პირველი შრომის რესპუბლიკა, თუ რა რიგ საარაკოა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების მიღწევები, და თუ წინად დიდის ნაყოფით სოციალ-გამყიდველები უხვად ასაღებდენ ათასგვარ საზიზღარ პროვოკაციულ ხმებს და სხვა და სხვა ცილისწამებებს მუშურ-გლეხურ ქვეყანაზე დღეს კი ისინი ამას ველარ მიაღწევენ. დასავლეთის მუშები რწმუნდებიან საბჭოთა კავშირის დაუძლევლობაში და მიუხედავათ რეაქციის ზრდისა მათ ქვეყნებში მათ ებადებათ მტკიცე იმედი, რომ ისინიც გაიმარჯვებენ.

ამასთანავე იზრდება ინტერესი და სურვილი კაპიტალისტურ ქვეყნების მუშების თვით ნახონ თუ როგორ მუშაობს საბჭოთა ქვეყანა. ისინი გზავნიან თავის დელეგაციებს ჩვენთან, რომლებიც განცვიფრებაში მოდიან აქ ნახულით. მხოლოდ აქ ისინი საბოლოოდ რწმუნდებიან ბურჟუაზიის და სოციალ-გამყიდველების მიერ გავრცელებულ ხმების სიყალბეში და გამარჯვებულ მუშათა კლასის განუზომელ შემოქმედებით ძალაში.

დღეს ჩვენ გაზეთში თავსდება შვეციელ პროფკავშირთა დელეგაციის წერილი ლენინგრადის მუშებისადმი; სადაც ისინი განცვიფრებული საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიღწევებით აღუთქვამენ „რომ ყოველივე ღონეს იხმარენ, რათა გაავრცელონ სწორი ცნობები საბჭოთა კავშირის შესახებ და მით ხელი შეუწყონ ყველა ქვეყნის მუშების გაერთიანებას“. „რუსეთის მუშათა კლასის ნამუშევარმა ჩვენ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ისინი მიაღწევენ თავის მიზანს“. ნათქვამია ამ წერილში.

ამრიგად საბჭოთა კავშირი წარმოადგენს იმ დასაყრდნობ ადგილს მსოფლიო რევოლიუციის, საიდანაც ვრცელდება დაუშრეტელი რევოლიუციონური ენერგია მთელ მსოფლიოში, რომელიც აღვიძებს მშრომელთა ახალ მილიონებს და უნერგავს მათ გამარჯვების მტკიცე იმედს.

—ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ფრუნზე ტფილისის გარნიზონის მეომრებთან.

—წითელი არმია საიმედო დასაყრდნობია ამიერ-კავკასიის მშრომელთათვის.

—„უნდა ვისწავლოთ სროლა კავკასიის ძველ მსროლელთა უკეთესად“.

—გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის „სალდათს“, ამხ. ფრუნზეს.—

დიდუბის იპოდრომის მოედანი დილიდანვე ივსება ტფილისის გარნიზონის ნაწილებით.

აქ არის არტილერია, კავალერია, ქვეითი, კავშირის ნაწილები, ჯავშნოსნები, მესანგრეები, რკინისგზის და სხვა ნაწილები, რომლებმაც უნდა ჩაატარონ თავიანთი მეცადინეობა სამხედრო-საზღვაო კომისარის თვალ-წინ.

ავტომობილიდან ამხ. ორჯონიკიძესთან ერთად გადმოდის ამხ. ფრუნზე, რომელიც რევსამხსაბჭოს, შტაბის წევრებისა და არმიის მეთაურთა თანხლებით ათვალიერებს არმიის რიგებს.

ნაწილების დათვალიერების შემდეგ იწყება სწავლება.

ამხ. ფრუნზე ათვალიერებს ქართული ნაწილის მსროლელ წითელ-არმიელებს, უკვირდება მათ და ამბობს: „კავკასიის ძველი მსროლელები განთქმული იყვნენ სროლაში, ჩვენ უნდა შევისწავლოთ მათზე უკეთესად“.

იქვე ახლოს მიდის პოლიტსაათი ქართულ ნაწილში. ამხ. ფრუნზე ამხ. ორჯონიკიძის საშუალებით აძლევს მათ შეკითხვებს. ისმის მტკიცე, გაბედული და სწორი პასუხი. შემდეგ ამხ. ფრუნზე სინჯავს არტნაწილებს.

დამთავრდა გასინჯვა. ამხ. ფრუნზე კმაყოფილია. მის გაბრწყინვებულ სახეზე შემდეგს წაიკითხავთ: „დიაღ, საჭიროების დროს წითელი არმია უმაგალითოდ იბრძოლებს გამარჯვებამდი“.

დაჰკრავს მარში. ჯარები სახლში ბრუნდებიან.

— წითელ კომანდირებს „ურა“!—ისმის ფრუნზეს ხმა.

— გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის „სალდათს“, ამხ. ფრუნზეს!-გაიძახიან რიგებში, და მხნე ნაბიჯით ბრუნდებიან წითელი რიგები ყაზარმებში.

# ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობის დახურვა.

**უკანასკნელი სხდომა.**

ამხ. ამხ. ფრუნზესა და კორკის მოხსენების გარშემო ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები, რის შემდეგ მოხდა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები, რომელშიაც არჩეულია 210 წევრი და 117 კანდიდატი.

**ეროვნებათა საბჭოში ყრილობამ ერთხმად აირჩია.**

**საქართველოდან შედიან:** არ. გიორგაძე, ფილიპე მახარაძე, ვ. სტურუა, ლ. სუხიშვილი შ. ელიავა.

აჭარისტანიდან—მოწყობილი, აფხაზეთიდან—ალანია სამხრეთ— ოსეთიდან--ბეკუზაროვი.

სომხეთიდან: ბაკუნც, იონისიანი, კარინიან, კასიანი და მრავიანი.

აზერბეიჯანიდან: აღამალიოღლი, ბუნიატ-ზადე, ჯაბიევი, კარაევი, ახუნდოვი კარაკოზოვი და ბაგიროვი.

სრულიად საკავშირო საბჭოს ყრილობაზე არჩეულია 87 დელეგატი.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვის შემდეგ საერთო „ინტერნაციონალი“-თ დაიხურა საბჭოთა მე-3 ყრილობა.

# ამხ. მ. ფრუნზეს მოხსენება სამხედრო აღმშენებლობის შესახებ.

ამხ. ფრუნზეს გამოჩენას ტრიბუნაზე ყრილობა ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით ხვდება. რამოდენიმე წუთის განმავლობაში მთელი დარბაზი ფეხზე დგას და „ურას“ ძახილით და მხურვალე ტაშით ესალმება წითელი არმიის ბელადს.



—ძვირფასო ამხანაგებო! სანამ მოხსენებას შევუდგებოდე ნება მიბოძეთ შევასრულო ის დავალება, რომელიც მე დამაკისრეს აქეთ წამოსვლის დროს. საბჭოთა კავშირის მთავრობის და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მივესალმები ამიერ—კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობას.

სამწუხაროთ, მე მონაწილეობა არ მიმიღია თქვენი ყრილობის მუშაობაში, მაგრამ ამ ყრილობის ნამუშევარის ზერელეთ გაცნობამ დამარწმუნა, რომ ამიერ—კავკასიის ცხოვრებაში დიდი გადახრა მოხდა, რომ თქვენი მხარე სწრაფად მიიწევს წინ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზაზე. ასევე წარმატებით მიდის ჩვენი მუშაობა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა დანარჩენ კუთხეებში. ჩვენი მეურნეობა მტკიცდება, ჩვენი ძალა იზრდება, საბჭოთა კავშირი ფეხზე დგება და იწყებს იმ დიდი შენობის აგებას, რომელშიაც ყველა ერების მშრომელები ძმურათ და თავისუფლად იცხოვრებენ.

გაუმარჯოს ამიერ კავკასიის ერების ძმურ თანამშრომლობას! გაუმარჯოს ამიერ—კავკასიის საბჭოთა ყრილობას (მქუხარე ტაში და „ინტერნაციონალი“).

ამხანაგებო! ჩემი მოხსენების თემაა ჩვენი კავშირის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის გაშუქება საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

შეიარაღებული ძალების სიმტკიცე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მტკიცეა სახელმწიფოს შინაური და საგარეო მდგომარეობა.

შემდეგ ამხ. ფრუნზე ეხება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას და საბჭოთა კავშირის შინაურ სიმტკიცეს.

**წითელი არმიის მდგომარეობა.**

ამიტომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს გარემოებები და უნდა შევქმნათ ისეთი არმია, რომელიც მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ჩვენს წინააღმდეგ მომართულია მთელი კაპიტალისტური მსოფლიო.

ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი არმია, რომ იგი არ ჩამოუვარდებოდეს იმპერიალისტური სახელმწიფოების არმიებს თავისი უზრუნველყოფით და ტეხნიკის მხრივ, მაგრამ ეს დამოკიდებულია ჩვენი მეურნეობის მდგომარეობაზე და სახელმწიფოს ბიუჯეტზე.

წინეთ სამოქალაქო ომის წლებში, წითელ არმიას ბევრი რამ აკლდა, რადგან უშუალო ბრძოლის დროს საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო მისი მდგომარეობის სათანადოთ გაუმჯობესება. მაგრამ ეხლა, როდესაც მდგომარეობა გამოკეთდა, წითელ არმიას შეუძლია მოითხოვოს თავისი საჭიროების დაკმაყოფილება.

**სამხედრო ბიუჯეტი.**

ჩვენი სამხედრო უწყების ბიუჯეტი მცირეა, ის მძიმე ტვირთად არ აწევს საბჭოთა კავშირის მშრომელებს; სამხედრო უწყების ბიუჯეტი შეადგენს 17,18 პროც. სხვა სახელმწიფოებში კი არმიის შენახვაზე გაცილებით მეტი იხარჯება, ჩვენი არმია ყველაზე უფრო იაფი არმიაა მსოფლიოში არსებულ ყველა არმიებს შორის.

**არმიის შემადგენლობა.**

ჩვენი არმიის საერთო შემადგენლობა ამ ჟამად უდრის 562.000 კაცს, საზღვაო და საჰაერო ფლოტთან ერთად.

საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად გასაწვევია 1.200.000 ახალგაზრდა. ამ რაოდენობიდან დაახლოვებით 400.000 კაცი გამოსადეგი არ არის სამხედრო საქმისათვის. დანარჩენი რიცხვიდან ჩვენ ჯარში გვყავს მხოლოდ 270.000 კაცი ყოველ წლიურად, 200.000 კაცს სამხედრო საქმეს ვასწავლით ჯარის ნაწილების გარეშე, დანარჩენებისათვის კი ჩვენ გვაქვს ტერიტორიალური სისტემა.

**ტერიტორიალური სისტემა.**

ამ სისტემაში დიდ როლს თამაშობს წვევამდელთა მომზადება. მათ სათანადო მომზადებაზე და გაწვრთნაზეა დამოკიდებული საკადრო ნაწილების გაუქმება და ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლა.

ტერიტორიალურ ნაწილებში სამხედრო სამსახურის ვადა ნაკლებია, ვიდრე საკადრო ნაწილებში. აქამდი ჩვენ არ გვქონია ჩამოყალიბებული კანონი სამხედრო სამსახურის ვადის შესახებ. ეხლა უკვე შემუშავებულია სათანადო დებულება, რომელიც დასამტკიცებლად წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ცაკში.

ამ დებულების მიხედვით ქვეითა ჯარში სამხედრო სამსახურის ვადათ დაწესებულია 2 წელიწადი, სპეციალურ ნაწილებში (საჰაერო ფლოტი)—3 წელიწადი და საზღვაო ფლოტში, როგორც ყველაზე უფრო რთულ ნაწილში —4 წელიწადი.

**ნაციონალური ნაწილები**

ჩვენს სამხედრო აღმშენებლობაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ნაციონალური ნაწილების შექმნას. არსებობს ქართული, სომხური, თათრული და სხვაგვარი დივიზიები. წვრილი ერების ახალგაზრდებისაგან ჩვენ ვქმნით ნაციონალურ ასეულებს, ოცეულებს და ათეულებს.

**სამხედრო ტეხნიკა.**

რაც შეეხება ჩვენი არმიის ტეხნიკურ მოწყობილებას, უნდა ითქვას, რომ იგი შესამჩნევად გაუმჯობესდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ საჰაერო ფლოტის მდგომარეობა. წინედ ჩვენ ჰაეროპლანებს ვიწერდით საზღვარგარეთიდან, ეხლა ჩვენ საშუალება გვაქვს საბჭოთა კავშირში დავამზადოთ ისინი და ამ მხრივაც ჩვენ დამოუკიდებელი ვხდებით ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან.

სამხედრო ტეხნიკის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიის განვითარებას. ამ დარგშიაც ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. ჩვენი ქიმიკოსები არაფრით არ ჩამოუვარდებიან საზღვარ-გარეთელ ქიმიკოსებს. ამრიგად, ჩვენი წითელი არმია ყოველის მხრივ გაუმჯობესდება და ის მომზადებული შეხვდება მომავალ ომს, თუ მას თავზე მოგვახვევენ.

**მეთაურთა შემადგენლობა.**

ჩვენი არმიის მეთაურთა შემადგენლობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. მეთაურთა შემადგენლობის 50 პროცენტი მუშათა და გლეხთა წრიდანაა გამოსული. მათი სამხედრო მომზადების საქმე სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. მიუხედავათ ყველა იმ დიდი მიღწევებისა, რომლებიც ჩვენ ამ დარგში გვაქვს, ჩვენ მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მეთაურთა შემადგენლობა ჯერ-ჯერობით არ სდგას იმ სიმაღლეზე, რომელზედაც სდგას იმპერიალისტური სახელმწიფოების არმიების მეთაურთა შემადგენლობა.

**არმიის კულტურული როლი.**

ჩვენი წითელი არმია დიდ კულტურულ როლს თამაშობს ჩვენს ქვეყანაში. მსოფლიოში არსებულ არც ერთ არმიას არ აქვს ისეთი კულტურული მნიშვნელობა, როგორც ჩვენს მუშურ-გლეხურ არმიას. ამ მხრივ ჩვენი წითელი არმია განსაკუთრებულია. ჩვენს მიზანს შეადგენს არა მარტო ის, რომ სამხედრო საქმე შევასწავლოთ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს, არამედ ჩვენ ვცდილობთ ავამაღლოთ მათი კულტურული დონე.

წითელ არმიელი ჯარში იძენს განათლებას. ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ ის უკვე ცოდნით აღჭურვილი ბრუნდება სოფლათ; იქ ის ებმება საზოგადოებრივ მუშაობაში და აქტიურ მუშაკათ ხდება საბჭოთა მუშაობის ყველა დარგებში.

არმიაში ჩვენ გვაქვს სკოლები, ბიბლიოთეკები, ლენინის კუთხეები და სხვა კულტურული დაწესებულებები. წარსულ წელში ჩვენ არმიაში სავსებით მოვსპეთ წერა-კითხვის უცოდინარობა.

**დასკვნა.**

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი არმიის საერთო მდგომარეობა. ჩემი მოხსენებიდან თქვენ დაინახავდით, რომ მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, რომლებიც ჩვენ წინ გვეღობებოდენ, ჩვენ მაინც შევქმენით ძლიერი, მტკიცე დისციპლინიანი სამხედრო ძალა, რომელიც შესძლებს მუშათა და გლეხთა მონაპოვარის დაცვას. წითელი არმია მუშათა მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ფეხზე დადგება და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავათ. (მქუხარე ტაში).

მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ხანგრძლივი ტაშით და „ურას“ ძახილით აცილებს ამხ. ფრუნზეს.

# სამხედრო ქიმია.

**გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი როგორ უნდა შეინახოს გაფუჭებისაგან.**

თუ წინად საკმარისი იყო მარტო თოფი და ვაზნები, რომ მეომარი მზად ყოფილიყო ბრძოლისთვის, დღეს ამის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; თუ ჰაერში მოიპოვება მომწამლელი გაზის სულ მცირე რაოდენობაც კი, მეომარი ვერ შესძლებს თავის იარაღების ხმარებას. მეომარი, თუ მას გაზის საწინააღმდეგო საშუალება (ნიღაბი) არ აქვს, ის არ არის მეომარი, არამედ ზედმეტი ბარგი და ხელის შემშლელია გარშემო მყოფთათვის.

ამიტომ გაზის საწინააღმდეგო საშუალება უნდა ჩაითვალოს თოფსა და ვაზნებზე არანაკლებ მნიშვნელოვან იარაღად.

მაგრამ გაზის საწინააღმდეგო საშუალებამ რომ შეასრულოს თავისი დანიშნულება, ამისათვის საჭიროა იცოდეს მეომარმა, თუ როგორ მოქმედებს მისი გაზის საწინააღმდეგო საშუალება, თუ რისაგან ხდება ის, როგორ უნდა შეინახოს ის, რომ არ გაფუჭდეს, და ბოლოს, როგორ უნდა იხმაროს, რომ საიმედოდ დაიცვას თავი გაზისაგან.

გაზის საწინააღმდეგო საშუალების მთავარი ნაწილი არის დამცველი ნივთიერება—ნახშირი. ნახშირი სწმენდს ჰაერს; ის იჭერს (ყლაპავს) ყოველგვარ მავნე გაზს, მტვერს, მიკროორგანიზმებს, ე. ი. ბაქტერიებს, მიკრობებს და სხვა; ყოველივე ამას ყლაპავს ის ორთქლთან ერთად, რომელიც ყოველთვის არის ჰაერში.

ამიტომ ცხადია,—ჩამოიცვამ თავზე ნიღაბს (გაზის საწ. საშ.) თუ არ ჩამოიცვამ, ის სულ ერთია ჰაერთან შეხებით მაინც ყლაპავს ზემო-ჩამოთვლილ ნივთიერებას. ხოლო ამ ნივთიერების ყლაპვით ის თანდათან ფუჭდება ანუ ჰკარგავს დაცვითი თვისებას. ამიტომ ყოველმა მეომარმა უნდა მიიღოს ზომები, რათა გაზის საწინააღმდეგო საშუალება არ გაფუჭდეს და საჭირო დროს არ დარჩეს თავდაცვის საშუალებას მოკლებული.

**ამიტომ ყოველმა მეომარმა თვალ-ყური უნდა ადევნოს, რათა გაზის საწინააღმდეგო საშუალების კოლოფის სარგილი (პრობკა) მჭიდროდ იყოს დაცობილი, არ უნდა ახადოს ეს სარგილი თუ საჭიროება არ ითხოვს, და განსაკუთრებით არ ჩამოიცვას თავზე გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი თუ ეს საჭირო არ იქნება. ნიღაბი დაცულ უნდა იქნას სისველისაგან.**

ჰაერის მიერ გაფუჭების გარდა, დამცველი ნივთიერება შეიძლება გაფუჭდეს უწესრიგო, გაუფრთხილებელი ხმარებით. აქ საქმე შემდეგშია: დამცველი ნივთიერება—ნახშირი მხოლოდ მაშინ სწმენდს ჰაერს კარგად და ყლაპავს მავნე ნივთიერებას, როცა ნახშირი კვნიტებად იმყოფება კოლოფში. ეს ნახშირები გაზის საწინააღმდეგო საშუალების (ნიღაბის) დიდი ხნის ტარებით თანდათან იხეხება და მტვრად იქცევა. ხოლო მტვრად გადაქცევის შემდეგ ნახშირი ჰკარგავს დაცვითი თვისებას, ე. ი. ის ველარ ყლაპავს მომწამვლელ ნივთიერებას, და გარდა ამისა, ნახშირის მტვერი დაახშობს „ფილტრას“ (ჰაერის დასაწმენდ ჰუჭრიტანებს) გაზის საწინააღმდეგო ნიღაბში, სრულებით არ გაატარებს ჰაერს და უვარგისად ხდის გაზის საწინააღმდეგო საშუალებას.

**გაზის საწინააღმდეგო საშუალების გაფუჭების თავიდან ასაცილებლად, ყოველი მეომარი უნდა გაუფრთხილდეს და ატაროს ის ისე, როგორც დაარიგებს მას ინსტრუქტორები და მეთაურები; განსაკუთრებით, არ უნდა შეარყიოს და ბაბერტყოს ის ტარების დროს.**

გაზის საწინააღმდეგო ნიღაბის გაფრთხილების წესი: **ნუ დააგდებ ძირს, ნუ დააწყობ ზედ მძიმე ნივთებს და საზოგადოდ გაუფრთხილდი ყველაფერს, რასაც შეუძლია დაფხვნას ნახშირი გაზის საწინააღმდეგო საშუალების კოლოფში.**

ლ. ვორონოვი.

# ინგლისის სამთო-მადნო მუშათა დელეგაცია გამოემგზავრება საბჭოთა კავშირში.

ინგლისის სამთო-მადნო მუშათა ფედერაციას განზრახული აქვს გამოგზავნოს დელეგაცია საბჭოთა კავშირში სამთო-მადნო მუშათა კონფერენციაზე, რომელიც შესდგება ამა წლის ივლისში.

# პარტიული ცხოვრება.

## გამსინჯავ კომისიისათვის მასალების მიწოდების შესახებ.

გამსინჯავმა კომისიამ თავის მუშაობის დროს ყურადღება მიაქცია ერთ ფრიად სერიოზულ უარყოფით მოვლენას, რაც დროზე უნდა იქნას მოსპობილი.

გამსინჯველ კომისიაში შემოდის წერილობითი განცხადებები და თვით კომისიის წევრები უჯრედის წევრთა ცალ-ცალკე გამოკითხვის დროს იგებენ შემდეგ გარემოებას. სოფლად ზოგიერთი მცხოვრები კომუნისტები, რომლებიც მსახურებენ ქალაქში, და რომლებსაც დღემდის მჭიდრო კავშირი აქვთ სოფელთან, ყოველგვარ ღონისძიებებს ღებულობენ თავიანთი ოჯახების გამდიდრების მხრივ.

ისინი არაფერს არ აკლებენ თავიანთ ოჯახს. მაგალითად: ყიდულობს ცხენს და უნაგირს, ჰხურავს სახლს კარგი კრამიტით, ხარჯავს ყველაზე უკეთესს ყიდულობს, ვენახსაც ახალს აშენებს და შაბიამანის და სხვა საჭირო მოწყობილობის მარაგიც აქვს.

ერთი სიტყვით ის ახალი „ნეპმანია“ სოფელში. ეწყობა ისე როგორც ძველათ მამასახლისიან მთავრობის რომელიმე მოხელე.

მართალია, ჩვენს რიგებში ბევრია ისეთებიც, რომლებსაც კავშირი არ გაუწყვეტიათ სოფელთან, მაგრამ მათ ყველას საშუალება არ აქვთ ეკონომიურად ასე გაძლიერდენ და ზოგნი კომუნისტური იდეების წმინდათ გამტარებლები არც დაუშვებენ ასეთ რამეების ჩადენას.

როგორ შთაბეჭდილებას იქონიებს ასეთი საქციელი უპარტიო გლეხობაზე?! ცხადია, ასეთ მოქმედებას, რომელიც სახელს უტეხს პარტიას და ადგილობრივ პარტორგანიზაციას, გამსინჯავი კომისია სათანადო ყურადღებით მოეპყრობა, და ასეთების ჩამდენ პირებს გააძევებს პარტიის რიგებიდან.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის გულგრილობა და დაუდევრობა ამხანაგების მხრივ, რომელიც დანაშაულობას უდრის.

ასეთი მოვლენების დროს პარტიულმა ამხანაგებმა და უპარტიოებმაც კი არ უნდა უცადონ პერიოდულად მომუშავე გამსინჯველ კომისიებს, არამედ იმ თავითვე უნდა შეიტანონ განცხადებები ამის შესახებ სათანადო პარტიულ საკონტროლო ორგანოებში და ამით თავის დროზე მისცენ საშუალება მათ მოიშორონ პარტიიდან მისი სახელის გამტეხი და უვარგისი წევრები.

ხ. ლომიძე.

## 1-ლ ლეგ. სამნეო გუნდის კომუჯრედი.

ჩვენმა კომუჯრედმა თავისი გაცხოველებული მუშაობის მეოხებით გარს შემოიკრიბა გუნდის საუკეთესო მეურნეობის ელემენტები.

ამ ჟამად კომუჯრედში ირიცხება 15 წევრი. ამათში ხ პარტიის წევრია, 7 კანდიდატი და სამიც ახკომკავშირის წევრები.

კომუჯრედი გუნდში ეწევა ყოველგვარ კულტურულ და აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობას წითელ არმიელთა შორის.

ამ გარემოებამ ძლიერ ასწია კომუჯრედის ავტორიტეტი უპარტიოთა შორის. პარტიაში შემოსვლის მსურველები გუნდში ბევრია.

კომუჯრედის ინიციატივით გამოშვებული იქნა ორკვირეული კედლის გაზეთი „წითელი სხივი“, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არმიელებმა.

მიუხედავათ იმისა, რომ გუნდი მუშა გუნდია და თითქმის ყოველთვის დაკავებული ვართ სხვა და სხვა საქმეებით, კომუჯრედის ღია თუ დახურულ კრებებს და სხვა საქმიანობას სისტემატიურად ვაწარმოებთ.

პარტ-დისციპლინა გუნდში წესიერად სრულდება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პარტიისაკენ ლტოლვა დიდია, მაგრამ ფორმალური მხარეების შესრულების სიძნელე, მაგ. ადგილობრივი პარტორგანიზაციებისაგან ავტობიოგრაფიის შემოწმების გაჭიანურება, პარტიაში შესვლის საქმეს აბრკოლებს.

პარტკორი მარგიშვილი.

## ახკომკავშირელთა შორის.

### ცხენოსან ლეგიონის ლ. კ. კ. ორგანიზაციის ცხოვრებიდან

ქ. ც. ლეგიონის ახკომკავშირის ორგანიზაციაში შედის სამი უჯრედი. საერთო წევრთა რიცხვი ამჟამად სამოც კაცამდე აღწევს. ამათში რვა არის საშვალო ცოდნით, ოცდათვრამეტი დაბალი და ცამეტი მცირე ცოდნით.

ყოველ შაბათობით სისტემატიურად ხდება უჯრედების კრებები. მოხსენებები კეთდება მორიგეობით. ვიხილავთ ანკეტებს, შუქდება როგორც საორგანიზაციო ისე დისციპლინარული საკითხები და სხვა. ლეგიონის ლ. კ. კ. გაერთიანებული კრება ხდება თვეში ორჯერ. მოხსენების შემდეგ ირჩევა კომუჯრედის მიერ მიღებულ ამხანაგების ანკეტები.

ჩვენი ლეგიონის ორგანიზაცია, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს უპარტიოთა შორის.

იანვრიდან ჩვენს რიგებიდან პარტიას გადაეცა ოცამდე სათანადოთ მომზადებული ამხანაგები. რაც შეეხება კავშირში შემოსულთა რიცხ ს ა. წ. იანვრიდან უდრის სულ ოცდასამს. ამრიგად ქ. ც. ლეგიონის ლ. კ. კ. ორგანიზაცია ბეჯითად სდგას თავის სადარაჯოზე და ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას კომუნისტური პარტიის და მშრომელი ხალხის წინაშე.

დ. ზეფრაშვილი.



## მოგვეცით სპორტწრის ხელმძღვანელი.

სასპორტო საქმეში 4-ე ლეგიონის გორში მდგომი ნაწილები ძლიერ ჩამორჩენილი არიან.

ლეგიონში ფაქტიურად არსებობს სპორტწრე, მაგრამ მეცადინეობა არ სწარმოებს. ლეგიონში გვყავს ერთი მეთაური კაჭარავა, რომელიც საამისოთ კარგად არის მომზადებული, სპეცია, მაგრამ ლეგიონის თავმა არ ვიცი რა მოსაზრებით ის გაიგზავნა გორიდან პუნქტზე, სპორტწრე კი დარჩა უპატრონოთ.

ჯერ აქამდე არ გვქონია მეცადინეობა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ გაკვეთილს უკანასკნელად. ერა კმარა მარტო წრის არსებობა და ხელმძღვანელიც არ ყავდეს. სასპორტო იარაღები ყველაფერი გვაქვს, არის აგრეთვე სპეც ტანთსაცმელი, ფეხსაცმელები და სხვა.

კარგი იქნება და აუცილებელიც არის ლეგიონის თავი მოგვცემდეს ხელმძღვანელს, რომ სპორტწრე არ ჩამორჩეს სხვა წრეების მუშაობას.

სამხკორი ჯლანკი.

## სანგრების კეთებას დავიწყეთ.

### პირველი ლეგიონის 3-მე ათასეული.

13 აპრილს ჩვენი ათასეული ჩვეულებრივზე უფრო ადრე იდგა ფეხზე. ყველა, საველე მუშაობისათვის არის მომზადებული.

დილის შვიდ საათზე ათასეული უკვე მზად იყო და ელოდა უფროსის ბრძანებას.

აი, კიდევაც გამოჩნდა ათასეულის თავი. იგიც ცოცხალი გამომეტყველებით მოგვიახლოვდა.

ესიამოვნა, რომ ყველა მოლაშქრეები მზად იყვნენ და მის განკარგულებას უცდიდენ.

გაისმა უფროსის ბრძანება... და ათასეული მხიარული ყიჟინით გაემართა ველში სანგრების გასაკეთებლად.

—ეხლა კი ნამდვილად შევისწავლით სასანგრო საქმეს აი—გაისმოდა აქა იქ მწყობრში ამხანაგების ლაპარაკი,

—ისეთი სანგრების გაკეთება უნდა შევსძლოთ, რომ ეშმაკმაც ვერ მოგვაგნოს შიგ—გაიხუმრა ერთმა.

—მაშ, მაშ! ეშმაკმა თუ ვერ მოგვაგნო კაცი რას იზამს და გააწყობს.

—კი მაგრამ მე შენზე უკეთესი უნდა გავაკეთო. ისეთი რომ ყუმბარამ ვერ მოაგნოს! ხომ იცით ეშმაკზე უარესი ყუმბარაა—გაიხუმრა მეორემ.

ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ კიდევაც მიუახლოვდით დანიშნულ ადგილს.

მთელი დღე თავ აუღებლად ასრულებდენ ამხანაგები უფროსის ბრძანებას. ბევრი ვიმუშავეთ, ბევრი რამ შევიძინეთ.

დაღამებამდე თავი არ აგვიღია ზევით. ცოტა არ იყოს ზოგიერთებს არ ესიამოვნათ ასე განუწყვეტელი მუშაობა. ძლიერ დავიღალეთო.

პირველი იყო და ეს გასაკვირიც არ არის. შემდეგში კიდევ უფრო ხალისიანათ ვიმუშავებთ ველში.

წ. არმ. კინგ.

## ვემზადებით შვებულებისთვის.

### მეთაურთა სკოლა.

გამოცდები ჩვენს სკოლაში თითქმის დამთავრდა.

17 აპრილისათვის კურსანტების უმრავლესობა გაშვებული იქნებიან შვებულებაში თავიანთ სოფლებში.

თავიდანვე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა კურსანტებს შორის იმ მიზნით, რომ ეს შვებულება, რაც შეიძლება ნაყოფიერად ყოფილიყო გამოყენებული ჩვენი სოფლის გლეხობის და მათი ჭირვარამის შესასწავლად.

მეორე მხრივ, კურსანტები სპეციალურად ემზადებოდენ იმ საკითხებში, რომელთა ფართო გაშუქება ადგილებზე სარგებლობას მოუტანს საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელი ხალხის ინტერესებს.

აქ არ ჩამოვთვლით ყველა იმ საკითხებს, რომლებშიდაც ემზადებოდენ ამხანაგები, მაგრამ ზოგიერთებს მაინც დავასახელებ: საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა; სასოფლო სამეურნეო გადასახადი; საკავშირო ცაკის მესამე სესია; ახალგაზრდობის როლი სოფლად მუშაობაში და ლერნწილების მნიშვნელობა.

აი ყველა ის უმთავრესი საკითხები, რომლებშიდაც საფუძვლიანი მომზადება მიიღეს ამხანაგებმა და სათანადოთ უნდა გააშუქონ სოფლად ისინი.

ამხანაგებს ბევრ სხვა საკითხებზედაც დასჭირდებათ პასუხის გაცემა. უმთავრესად ესენი იქნებიან თვით გლეხებისაგან დასმული საკითხები. ეს გარემოებაც წინასწარ გათვალისწინებული გვქონდა და შესაძლებლობის ფარგლებში ესეთებშიც გარკვეული არიან ამხანაგები.

შვებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს ერთი წუთით არ დავიწყებიათ კურსანტებს სკოლაში ყოფნის დროს. იმედია ასეთი რწმენით მოეფინებიან ისინი თავიანთ სოფლებსაც და რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოიყენებენ მათ განკარგულებაში არსებულ თავისუფალ დროს.

გლეხობამ, განსაკუთრებით აგვისტოს გაკვეთილების შემდეგ მშვენივრად იცის მისი მტერ მოყვარე, ამაზე ბევრის ლაპარაკი არ დაგვჭირდება, მაგრამ ის გარემოებაც არ უნდა იქნეს გაშვებული მხედველობიდან, რომ ჩვენი სოფლის სინამდვილეში მაინც არიან დარჩენილი ისეთი მუწუკები—ნაძირალები, რომლებსაც გლეხობა ვერ ამჩნევს და თუ ამჩნევს მათთვის ვერაფერი მოუხერხებიათ. ამათი გამოძებნა ჩვენ უნდა ვიკისროდ და აშკარად ვაჩვენოთ გლეხებს ისინი.

ამას გარდა კურსანტებმა, სკოლიდან დავალების თანახმად დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლის მდგომარეობის აღწერას და გამოაქვეყნონ პრესაში; ეს კი ძლიერ გაუადვილებს ხელმძღვანელ ორგანოებს სოფლად მუშაობას.

იმედია ამხანაგები ენერგიულად შეასრულებენ ყველა ამ დავალებებს.

კურ. კენჭაძე.

## მოგვეცით სადილი.

### მეთაურთა პარტსკოლა.

უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლის სასადილოში ეს ორი კვირა იქნება რაც წითელი კუთხე გადიტანეს. ამნაირად სასადილო აღარ გვაქვს. სადილობა თითქმის ყოველთვის ფეხზე დგომით გვიხდება.

მაგიდები თუმცა გარეთ ეზოში გვაქვს გატანილი, მაგრამ ყოველთვის ხომ კარგი ამინდი არ არის და ცუდ ამინდებში კი შეუძლებელი ხდება გარეთ სადილის ჭამა.

მოგვაქციეთ ყურადღება და მოაგვარეთ ეს ნაკლიც.

სამხკორი ხ. ძიროვნელი.

## ლენინის კუთხეები ამუშავდენ.

### არტლეგიონი.

ლენინის კუთხეების მუშაობა ჩვენს ლეგიონში თანდათან ფართო ხასიათს იღებს. შეძლების დაგვარად მორთულ ლენინის კუთხეებში ყოველთვის მოიპოება ყველა ის ჟურნალ—გაზეთები, რომლებიც მოსდის ჩვენს ბიბლიოთეკას. წითელ-არმიელები ყოველ თავისუფალ დროს ანდომებენ ამ გაზეთების კითხვას.

გარდა ამისა ლენინის კუთხეებში მუშაობენ კუთხეების აქტივები. ისინი ატარებენ ყოველდღიურ გაზეთების ხმამაღალ კითხვასთან ერთად, საუბრებს სხვა და სხვა თემებზე, რაც წ.-არ. დიდ ინტერესს იწვევს.

აქტივების მუშაობას ხელმძღვანელობენ ბატარეის პოლიტხელები და კომუჯრედის მდივნები. საზოგადოთ ლენინის კუთხეები ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობენ წითელ-არმიელთა გათვითცნობიერებაში.

სამხკორი ლ—ო.

## ლიტერატურული წრისთვის არა გვყავს ხელმძღვანელი.

### მეხუთე ლეგიონი.

ხსენებულ ლეგიონში დაარსებული გვქონდა ლიტერატურული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. ყუბანეიშვილი. ამხ. ძლიერ მონდომებით და ენერგიულად მუშაობდა. ხშირად ეწყობოდა სხვა და სხვა ხასიათის გასამართლებები.

გასამართლებები ყოველთვის შინაარსიანად ტარდებოდენ მისი ხელმძღვანელობით.

მას შემდეგ, რაც ამხანაგი წავიდა ჩვენი ლეგიონიდან წრე სრულიად მოისპო და თითქმის აღარაფერი გაკეთებულა.

ამ უკანასკნელ ხანებში წრემ თითქოს დაიწყო მუშაობა. მოეწყო უზნეო წითელ არმიელის გასამართლება, მაგრამ ძლიერ უშინაარსოთ იქნა ჩატარებული. ხელმძღვანელ ჩიჩუას სრულიად არ მოემზადებია დამცველები და ბრალმდებლები.

საჭიროა მეტი ყურადღებით მოეკიდონ ამ საქმეს.

წრეს უფრო მომზადებული ხელმძღვანელი უნდა დაუნიშნონ თორემ არაფერი გაკეთდება.

სამხკორი მ—კი.

# სამხედრო საქმე

## ემზადეთ საბანაკოდ.

**რისთვის გადაჰყავთ ჯარები საბანაკოდ.**

ომში ჯარები მოქმედებენ და იბრძვიან სხვა და სხვა გვარი იარაღის შემადგენლობით; აქ არიან ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია, ჯავშნოსნები, მესანგრეები კავშირი, ავიაცია და სხვა.

ბრძოლაში წარმატების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ რომ ეს სხვა და სხვა გვარი იარაღის ჯარები შეთანხმებით იმოქმედებენ.

ეს შეერთებული, შეთანხმებული მზადება ტარდება მხოლოდ ზაფხულზე, როცა გვაქვს საშუალება მოვათავსოთ ყველა (და თითქმის ყველა) გვარის ჯარები ერთად, ან როგორც იტყვიან, შევკრიბოდ ჯარები ბანაკად.

მაშასადამე ბანაკად შეკრება მოგვაგონებს საბრძოლო გარემოებას. ომში ჯარები თავსდებიან ერთად, ჩვეულებრივად მიწურებში ან კარვებში (ტყეში), რომლებიც კარგად იქნებიან დაფარული მიწიდან ან ჰაერიდან დაზვერვისაგან.

ამნაირადვე ეწყობიან ბანაკად გასული ჯარები კარვებში ან „ბარაკებში".

მაგრამ საჭიროა აღვნიშნოდ, რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო, არა გვაქვს შესაძლებლობა მოვათავსოდ სავსებით ერთად ყველა გვარი იარაღის ჯარები; მაგალითად, არტილერისათვის საჭიროა სპეციალური, სროლისათვის კარგად მოწყობილი ადგილი. ასეთი ადგილები ხშირად ძნელი საპოვნია, ხოლო მთავარი ის არის, რომ უსახსრობის გამო მისი მოწყობა ძნელია.

აი რატომ ეწყობა არტილერია ბანაკში ცალკე. სროლის ჩატარების შემდეგ არტილერია გადადის საერთო ბანაკში.

მაგრამ არტილერია რომ არ ჩამორჩეს იმგვარის იარაღს, რომელსაც ის სამსახურს უწევს ბრძოლაში, ე. ი. ქვეითი ჯარისაგან, განზრახულია ამ წელში მოთავსებულ იქნას ერთი-ორი ათსეული (შეიძლება ლეგიონიც) არტილერიასთან ერთად.

ამრიგად საბანაკო პერიოდის ამოცანაა აწარმოოს ყველა გვარის იარაღის მეერთებული საველე მეცადინეობა. ზამთრის განმავლობაში ნაწილებმა გაიარეს მეომარის ცალკეული სწავლება. ზაფხულში ამ მეომრებმა უნდა გაიარონ მეცადინეობა განყოფილების, მწყობრის, გუნდის, ათასეულის და სხვა შემადგენლობით, ე. ი. უნდა განაგრძონ მეცადინეობა ნაწილის საბრძოლო მომზადების საქმეში.

ეს მომზადება იწარმოებს ჯერ ყოველ გვარი იარაღის ნაწილში ცალკე, შემდეგ შეერთებულად, სადაც გაეცნობიან სხვა და სხვა გვარი იარაღის ტეხნიკას, ბოლოს მოყვება მანევრები ე. ი. საბრძოლო მომზადების საბოლოო დამუშავება. ამასთან შეფარდებით საბანაკო სწავლებ იყოფა სამ საფეხურად: კერძო (ცალკე) შეკრება, საერთო შეკრება და მანევრები.

---

## ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს" წლის ბოლომდე და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

ინსპექციიდან და საკანტროლო კომისიიდან ანდრო დოლიძეს, შამშე ლეჟავას, ვასო იტრიევს, იასონ ჯორბენაძეს, მოსე კვარაცხელიას, ვალერიანე გოგიპერიძეს, იოსებ მორჩილაძეს, ამხ. ზაქრაძეს, კალენიკე იაშვილს, ამხ. ბარტყულაშვილს, ლალიონს, ნინა ხანონიანს, კ. რამიშვილს, თ. სიმონიშვილს, სხვა დარჩენილ ამხანაგების შესახებ ვანდობ ამხ. იასონ ჯორბენაძეს.

ს. ლომიძე.

---

## ბიბლიოგრაფია.

**კეტერის საავტორო ტაბულები.** პირველი და მეორე ქართულ დივიზიების პოლიტგანყოფილების გამოცემა. შედგენილი ი. კ—ს მიერ. ტფილისი 1925 წელი. ტირაჟი 1.500 ცალი. ფასი ორი აბაზი.

დედამიწის ზურგზე არსად არ არის საბიბლიოთეკო საქმე ისე განვითარებული, როგორც ინგლისში და ამერიკაში. საბიბლიოთეკო საქმის მთავარი საფუძველია ტეხნიკის განვითარება, რომლის მიზანია: მოსამსახურეთა ნაკლები შტატი, დროს ეკონომია, შრომის ეკონომია, წიგნის პოვნის გაადვილება ბიბლიოთეკარისა და მკითხველის მიერ. ყოველივე ეს ადრიანად გაითვალისწინეს ამერიკისა და ინგლისის საბიბლიოთეკო მუშაკებმა და დაიწყეს მუშაობა საბიბლიოთეკო ტეხნიკის გაუმჯობესების საქმეში. მათ შემოიღეს სხვა და სხვა ტიპის კატალოგები, რომელთაგანაც დღეს უფრო გავრცელებულია ხმარებაში სისტემატიური.

ეს სისტემატიური კატალოგები დაყოფილია განყოფილებებად და ყოველ განყოფილებაში წიგნები დაწყობილია ავტორების გვარზე ალფავიტის მიხედვით. ხოლო წიგნების ამ წესით მოთავსება ბიბლიოთეკაში უსახელმძღვანელოდ შეუძლებელია.

ასეთ სახელმძღვანელოდ ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა კეტერმა შეადგინა საავტორო ტაბულები, რომელსაც მისივე გვარი ეწოდება (კეტერის).

პატარა ბიბლიოთეკებში, სადაც წიგნები ცოტაა და გამგემ ზეპირად იცის თითქმის მთელი ბიბლიოთეკა, აქ შეიძლება კიდევ უტაბულებოდ მუშაობის წარმოება. მაგრამ ჩვენი მიზანი ხომ ისაა, რომ ყველა ეს პატარა ბიბლიოთეკები ვაქციოდ მრავალ ტომიან ბიბლიოთეკებად და გავაძლიეროდ ეს განათლების კერა. ამიტომ ყოველი ბიბლიოთეკა თუ არ იქნა ამ თავითვე აგებული შრომისა და დროს ეკონომიის პრინციპებზე, შემდეგ ძნელი იქნება შიგ მუშაობის წარმოება და მაშასადამე, ერთბაშად ახალ ტეხნიკაზე გადასვლაც.

მთელ საბჭოთა კავშირში დიდი მუშაობა სწარმოებს ამ მხრივ. ახალმა სისტემამ ტეხნიკაში, სადაც ის შემოღებულ იქნა, დიდი ნაყოფი მოიტანა.

კერძოდ საქართველოშიაც თანდათან გადადიან ბიბლიოთეკები ახალ სისტემაზე.

ზემო აღნიშნული საავტორო ტაბულების ქართული გამოცემა შედგენილია კეტერის ტაბულების მიხედვით. ეს პირველი წიგნია ქართულ ენაზე ამ დარგში. გამოცემა ყოველმხრივ კარგია.

ამ გამოცემიდან რამოდენიმე ცალი ეგზავნება ქართულ დივიზიების ბიბლიოთეკებს უფასოდ. დანარჩენს შეიძენს. სამოქალაქო ბიბლიოთეკები.

ი.

---

# ახალი ამბები.

— **ახალი ხიდები.** თბილისის კომუნალური განყოფილება შეუდგა მდ. მტკვარზე სამი ხიდის აგების საკითხის განხილვას. ერთ-ერთი ხიდი აგებული იქნება, ვერის ბორანის ადგილას.

— **ზაჰესის ენერგიის** გადამცემი კაბელის (მავთული მიწის ქვეშ) გაყვანა განზრახულია დასრულდეს მიმდინარე წლის ივლისის ბოლო რიცხვებში. უკვე შესრულებულია სამუშაოს 50 პროც.

— **ცეცხლი.** მარტის განმავლობაში თბილისში აღრიცხულია ცეცხლის გაჩენის 29 შემთხვევა.

— **მტკიცე ფასები პაპიროსებზე.** ა—/. შინა ვაჭრობის კომისარიატი ამჟამად იმუშავებს მტკიცე საეტიკეტო ფასებს თამბაქოზე და პაპიროსზე. ფასები გამოქვეყნებული იქნება ამ დღეებში.

— **სასამართლო--საექიმო** ექსპერტიზამ მთელ საქართველოში გასულ წელს მოახდინა 854 გვამის შემოწმება, მათ შორის აღმოჩნდა 694 ძალით მკვდარი.

— **მოხსნა აღრიცხვიდან.** ხელ. ახალ აღრიცხვაზე გამოცხადებულ დაზღვეულ უმუშევართაგან აღრიცხვიდან მოიხსნა სხვა და სხვა მიზეზების გამო 120 კაცი.

— **წყალის მიწოდება.** მარტში ქ. ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 37,705,380 ვედრო წყალი.

— **ტრამვაით** მარტში გადაყვანილი იქნა 2.726.033 მგზავრი.

---

# მეცნიერება და ტეხნიკა

**გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ აცრის საუკეთესო საშვალება.**

ერთი ფრანგი მეცნიერის სანარელის გამოკვლევით გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ აცრის საუკეთესო საშვალებათ უნდა ჩაითვალოს ცხვირში იმ პრეპარატის—წამლის შეყრა, რომელიც აცრით-ადამიანის სისხლში შეშვებით წინააღმდეგობას უწევს და იცავს ადამიანს ამა თუ იმ გადამდებ სნეულებისაგან. **სანარელი** ასეთი წესით ახდენდა აცრებს ხოლერისა და ტიფოიდის წინააღმდეგ. გამოირკვა, რომ სანარელის წესით აცრის დროს ადამიანის სისხლში უფრო ბლომად ჩნდებიან, ვიდრე სხვა შემთხვევაში ის ნაწილები, რომლებიც გამანადგურებლად ევლინებიან გადამდებ სნეულებათა ყველა მიკრობებს.

აცრის ასეთი წესი, სხვა მეცნიერების გამოკვლევითაც საუკეთესო საშვალება შეიქნა ტვინის გარსის ანთების წინააღმდეგაც.

**სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობა.**

ჯერ კიდევ ლენინგრადის პროფესორმა კრავკოვმა შესძლო ცოცხლად შეენახა ადამიანის ხელიდან შემთხვევით მოგლეჯილი თითი რამოდენიმე ხნის განმავლობაში. თითი ისეთივე ცოცხალი სახით შეინახა კრავკოვმა, როგორც ჩვეულებრივად ის არის ადამიანის ხელზე.

კრავკოვმა ამ მიზნისათვის გამოიყენა დასავლეთ ევროპის მეცნიერების: რიგნერისა და ლოკკის აღმოჩენილი სითხე. დაახლოებით ეს სითხე ისეთი შემადგენლობის არის, როგორც ჩვეულებრივი სისხლი.

ამ ჟამად სიცოცხლის შენარჩუნების გარშემო მუშაობამ უფრო წაიწია წინ. ფრანგ მეცნიერშეიულ ომრს აღმოუჩენია უფრო გაუმჯობესებული ხარისხის სითხე. ეს სითხე გაცილებით უფრო დიდ ხანს ინახავს ორგანიზმის ცოცხალ ნაწილს—ქსოვილს უვნებლად, ვინემ აქამდე ცნობილი ასეთი თვისების სითხეები. ახალმა აღმოჩენამ შესაძლებელია უფრო დიდი შედეგები მოიტანოს და საგრძნობლად წასწიოს წინ სიცოცხლის შენარჩუნების მიმართულებით წარმოებული მუშაობა.

---




## აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 5**

ერთ ქალს ჰქონდა ბრილიანტის ქვებისაგან გაკეთებული ჯვარი. როდესაც გაუვლიდა შიში, ხომ არავის მოუპარავს ქვა ჯვარიდანო დაითვლიდა მათ შემდეგნაირად: ის რიგ-რიგობით ითვლიდა ჯვარზე ქვებს ზევიდან, მარცხნიდან და მარჯვნიდან ქვევით და თუ ყველგან მიიღებდა ათს, გულს იმშვიდებდა. ქვები უკლებლივ არის შენახულიო.

ერთხელ ხსენებულ ქალს წაუხდა ჯვარი და შესაკეთებლად გადასცა ოქრომჭედელს, რომელსაც უთხრა, თუ როგორ ითვლიდა ის ჯვარზე ქვებს. გააფრთხილა არ მოეპარა, თორემ გაიგებდა.

ოქრომჭედელმა გაუგო ხერხი და მოიპარა ორი ქვა. მიუხედავათ ამისა ქალი, რომ დაითვლიდა თავისებურად ქვების რაოდენობა სწორი გამოდიოდა.

როგორ დაალაგა ოქრომჭედელმა ქვები ჯვარზე?

---

**ამერიკა ამზადებს უზარმაზარ ჰაეროპლანებს.**

ამერიკაში ამ ჟამად შემდგარია ერთი საზოგადოება, რომელსაც მიზნად დაუსახავს უზარმაზარი ჰაეროპლანების აგება. საზოგადოების ძირითადი თანხა 100 მილიონ მანეთს უდრის. საზოგადოებაში მონაწილეობას ღებულობენ ნიუიორკისა და ბოსტონის ცნობილი ბანკები. საზოგადოება უკვე შეუდგა 20 დირიჟაბლის აგების საქმეს. თითეულ ჰაეროპლანზე შეიძლება მოთავსდეს 150 მგზავრი.

---

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ამხანაგო რედაქტორო გთხოვთ გვიპასუხოთ ვის ემორჩილება სამხკორი, ნაწილის უფროსს თუ პ. გ. სამხკორს და მისი საშუალებით რედაქციას და კლუბის უფროსს? ვინ აძლევს სამხკორს მუშაობის გეგმას?

სამხკორი შ. კვინიკაძე.

**პასუხი.** სამხკორის წერილების გასინჯვით უფლება არავის არ აქვს და თავის მუშაობაში არავის არ ემორჩილება. ნაწილში სამხკორთა მუშაობას ხელმძღვანელობს პასუხისმგებელი სამხკორი—ორგანიზატორი. კლუბის უფროსს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სამხკორთან, გარდა იმისა რომ თვითონ მას შეუძლია იყოს სამხკორთა წრის წევრად.

---

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

---

# განცხადებები.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

არტ-ლეგიონის ბ. კოლექტივი ამით აცხადებს, რომ კომპარტიის კანდიდატი ამხ. ჭაია ისიდორე ივანეს-ძეს შემოტანილი აქვს განცხადება საკანდიდატო სტაჟის შესრულების გამო კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

გთხოვთ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ან იცით მისი უარყოფითი მხარეები გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერად დღეიდან 15 დღის განმავლობაში.

მისამართი ქალ. ტფილისი (საპურთალო) 1-ლ. ქ. მ. დივიზიის საარტილერიო ლეგიონის ბიურო კოლექტივის სახელზე.

1-ლ. ქ. მ. დ. არტ-ლეგიონის ბ-კოლექტივი.

---

**ახალ. კ. კ. წევრთა შორის მომუშავე ორგანიზაციების საყურადღებოთ.**

დღეს 16 აპრილს დილის 10 საათზე 2-რე დივპოლიტგანყოფილების შენობაში შესდგება თათბირი კ. კ. წევრთა შორის მომუშავე ორგანიზატორებს დელეგატები ვალდებულია გამოცხადდნენ დაუგვიანებლათ.

1. დივ. პოლიტგანყოფილების კ! კ. წ. შ. მ.

ინსტრუქტორი მიროტაძე.

---

16 აპრილს ხუთშაბათს დივ. ცენტრ. ბიბლიოთეკაში შესდგება ბიბ-საბჭოს მორიგი სხდომა. აუცილებელია ტფილისში მდგომ ქართულ ნაწილების ყველა ბიბ-გამგეების და მათი თანაშემწეების დასწრება.

ინსტრუქტორი ე. მურადოვა.

---

**დაიკარგა** პირადობის წიგნაკი № 145 გაცემული ცალკე საკავშირო ასეულის მიერ თევდორე სიმონის-ძე ქავთარაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.